

1952 წელი. ჰელსინკი

დავით ციმაკურიძე და რიცხვი პირველი

აბა, სახელოვანი ფალავნის, საუკუნის დასაწყისში უძლიერესი მოჭიდავეების შიშის ზარის დამცემი მიშიკო მაჩაბლის ვაჟი სხვა ვინ უნდა გამოსულიყო, თუ არა მოჭიდავე – ასევე უძლიერესი და უნიჭიერესი ათლეტი.

მოდით და ნუ ირწმუნებ ანდაზას – კვიცი გვარზე ხტისო. ვახტუროვის, პავლე და პეტრე ზაგორუიკოების, ზაიკინის, პოდუბნის, სანდრო კანდელაკის, მიშიკო ბაბალიკაშვილის, ვსევოლოდ ხერცის, შემდგომში მსოფლიოს ჩემპიონის ბოგატირიოვის თანამებრძოლისა და მრისხანე მეტოქის ვაჟმა დავით ციმაკურიძემ 50-იანი წლების უთვალსაჩინოესი ფალავნები დასცა ბეჭებზე და ქართველთაგან ოლიმპიური თამაშების პირველი ჩემპიონი გახდა! დავით ციმაკურიძე საბჭოთა კავშირიდანაც პირველი ოლიმპიური ჩემპიონი იყო, ოღონდ მხოლოდ ჭიდაობაში. ზოგიერთი სხვა სახეობის წარმომადგენლებმა 1952 წლის ჰელსინკის ოლიმპიადისას მოჭიდავეებზე აღრე დაამთავრეს ასპარეზობა, თორემ ციმაკურიძე საბჭოთა კავშირიდანაც პირველი იქნებოდა ყველა სახეობის ათლეტთა შორის.

„მამაჩემი პროფესიონალი მოჭიდავე იყო, ფოთშიც ჭიდაობდა, სადაც მე დავიბადე, და თბილისის ცირკებშიც. დღეს ჩვენ მხოლოდ ერთი ცირკი ვიცით, თორემ უწინ ვერაზე, მე-4 ღვინის ქარხანასთან, კიდევ ერთი, როგორც უწოდებდნენ, ნიკიტინის ცირკი იყო. მეც ხშირად ვესწრებოდი მამისა და მისი თაობის ფალავნების ჭიდაობას და მათი შემყურე, რა გასაკვირია, ჭიდაობას რომ გავყევი“.

თუმცა მანამდე ჭაბუკი ციმაკურიძე ბატონ არჩილ ბაქრაძის შევირდი იყო და ტანვარჯიშში ოსტატის წოდების მოპოვებისთვის იბრძოდა. მაგრამ... ორ-სამჯერ მოწყდა ღერძიდან და მწვრთნელმა ურჩია, რას წვალობ, მამაშენი გვერდით გყავს, მას მიეხარე და ჭიდაობაში ივარჯიშეო. და 1939 წელს დათო ციმაკურიძე ჭიდაობის წრეში ჩაეწერა, რომელსაც საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელი პეტრე იორდანიშვილი ხელმძღვანელობდა – ოლიმპიადების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მრავალი გამარჯვებულისა და პრიზიორის აღმზრდელი.

იმ დროს მხოლოდ ბერძნულ-რომაული ჭიდაობა არსებობდა და დავითმაც ამ სახეობაში დაიწყო დაოსტატება.

„1942 წელს, გაგანია ომის დროს, ბათუმში ეგრეთ წოდებულ ВНЗ-ს დარბაზში საქართველოს პირველობა მოეწყო. საღამოს 8 საათისთვის პორტს ორი სამხედრო გემი მოადგა – „Красный Крым“ და „Красный Кавказ“. იმ გემების ბევრი მეზღვაური ცნობილი მოჭიდავე იყო, საბჭოთა კავშირის არაერთი ჩემპიონი და პრიზიორი. არავის შეეუშინდი და ჩემპიონობაც მოვიპოვე“.

ეს დასაბამი იყო.

1945 წელს უკვე თავისუფალი ჭიდაობაც ჩამოყალიბდა და დავითმაც იფიქრა, მოდი, აქაც მოვსინჯავ ძალებსო. საკავშირო პირველობაც კარს იყო მომდგარი და საქართველოს მოჭიდავეებმა პირველ ღირსსახსოვარ წარმატებას მიაღწიეს. შვიდი წონითი კატეგორიიდან ოთხში უძლიერესნი ჩვენებურები იყვნენ – ვასო ილურიძე (მსუბუქი წონა), დავით ციმაკურიძე (საშუალო), ვადარშაკ მაჩკალიანი (ნახევრადმძიმე) და არსენ მეოკიშვილი (მძიმე). ამ გამარჯვებამ ახალი სტიმული მისცა ციმაკურიძეს და მანაც გადაწყვიტა, სპორტული კარიერა თავისუფალ ჭიდაობაში გაეგრძელებინა, თუმცა შიგადაშიგ „ბერძნულ-რომაულადაც“ მოუქცევდა ხოლმე.

მაგალითად, 1948 წელს „კლასიკოსებმა“ საბჭოთა კავშირის მორიგი ჩემპიონატი გამართეს და ციმაკურიძემ ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

„ოქროც თვალის დახამხამებაში მოვიდოდა, მაგრამ მე რომ მომეგო, მოსკოვი კარგავდა გუნდურ ჩემპიონობას და ბრძოლა წამართვეს, არადა, იმ შეჯიბრებაში ბელოვსაც მოვუბე და საბჭოთა კავშირის მაშინდელ ჩემპიონს როსტოველ ტკაჩენკოსაც“.

საჭიდაო ხალიჩაზე უსამართლობას არაერთხელ შეხვედრია ქართველი ფალავანი, მაგრამ კარგად ჰქონდა დამახსოვრებული მამის და მწვრთნელების გაფრთხილება – თუ მოწინააღმდეგეზე ორი თავით მაღლა არ დადექი, ვერაფერს მიაღწევო და დავით ციმაკურიძეც თავდაუზოგავად ვარჯიშობდა, ოდნავ შეღავათს არ აძლევდა საკუთარ თავს და არაჩვეულებრივი შედეგიც მოიმკო – შვიდჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. თვით ბეჭდაუდებელმა ალექსანდრე მედვედმაც კი ვერ გაიმეორა ეს შედეგი. მას საბჭოთა კავშირის ექვსი ოქროს მედალი ჰქონდა მოგებული.

„ამის შემდეგ ევროპის ქვეყნებისკენაც გაგვეხსნა გზა, თუმცა მანამდე 1947 წელს ჩეხოსლოვაკიელები გვესტუმრნენ და ცუდი მასპინძლობა გავუწიეთ – საკმაოდ დამაჯერებლად გავიმარჯვეთ, ჩემი ბრძოლა წმინდად მოვიგე. ცოტა ხანში კი ფინეთში გავამწარეთ იქაური ფალავნები“.

საბჭოთა ოლიმპიური გუნდი გამალებით ემზადებოდა თავისი პირველი ოლიმპიური თამაშებისთვის, მაგრამ საბჭოთა სპორტსმენები ცურვასა და მძლეოსნობაში საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ ამერიკელებს, ინგლისელებს, ფრანგებს, გერმანელებს, ავსტრალიელებს, აფრიკის კონტინენტის წარმომადგენლებს, ანუ ამ სახეობებში მოდის კანონმდებლებს. არადა, ცურვის ყველა სტილში და მძლეოსნობაში ასამდე მედალი თამაშდება, რაც 700 ქულას იძლევა.

„სტალინი ჭკვიანი კაცი იყო. რომ მიხვდა, ამ 700 ქულასთან ახლოსაც ვერ მივიდოდნენ, ხოლო მოჭიდავეები, მოკრივეები, ტანმოვარჯიშეები, ძალოსნები ცურვასა და მძლეოსნობაში მოსალოდნელ დანაკარგს ვერ

ანაზღაურებდნენ, უარი თქვა სპორტსმენების 1948 წლის ოლიმპიადაზე გამგზავრებაზე“.

1952 წელს ჰელსინკის ოლიმპიურ თამაშებზე საბჭოთა ნაკრები გაუშვეს და მასაც არ შეურცხვენია თავი. ქართველთაგან ოქროს მედლები დავით ციმაკურიძესა და არსენ მეკოკიშვილს ხვდათ, თუმცა არსენი ოლიმპიადაზე მოსკოვის გუნდიდან მოხვდა და ეს ოქროც მოსკოვმა მიითვალა.

„სამი საათით ვაჯობე ჩიმიშკიანს, რამდენიმე დღით – მზია ჯუდეღს, ხოლო მეკოკიშვილამდე ხალიჩაზე ორი წონით კატეგორიის სპორტსმენები ცდიდნენ ბედს“.

ამის შემდეგ დავით ციმაკურიძეს დიდხანს აღარც უჭიდავია – 1954 წელს თბილისის ცირკში ქართველებმა იაპონელები დაამარცხეს – 6:2. დავითმა მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორს კაცურა მოტოს სუფთად მოუგო და სამწვრთნელო კარიერას შეუდგა. 1956 წელს მეღბურნის ოლიმპიადისთვის საბჭოთა კავშირის მოჭიდავეთა ნაკრების მწვრთნელებს დავით ციმაკურიძეც შეუერთდა და გუნდმაც უხვი მოსავალი მოიმკო. სწორედ ამ წარმატებაში შეტანილი წვლილისთვის მიანიჭეს დავით ციმაკურიძეს საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

დავით ციმაკურიძეს გული სწყდება, რომ მის დროს ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები არ ეწყობოდა, თორემ ალბათ არავის ეპარება ეჭვი, რომ ქართველი ფალავანი – საბჭოთა კავშირის შვიდგზის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი არც ამ შეჯიბრებებიდან გამოვიდოდა ხელმოცარული, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზეც უმაღლესი ხარისხის არაერთ მედალს მოიპოვებდა.

1954 წელს უკანასკნელად იჭიდავა, 53-ში კი პირველი მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა და მარჯვენა ხელის ტრავმა რომ არა, წინა წელს ოლიმპიადის მომგები ფალავანი უთუოდ იქაც ისახელებდა თავს. საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელის პოსტი გულნაკლულმა მიატოვა. გუნდი ამერიკაში საგასტროლოდ ემზადებოდა, მაგრამ საბჭოთა „კაგებეშნიკებმა“ „კარგად გათვალეს“ – შტატებში მიშიკო მანაბლის უახლოესი მეგობარი კოლია ქვარიანია გადახვეწილი და ციმაკურიძეც იმიტომ მიდის, ქვარიანს შეხვედეს და ანტისაბჭოთა იდეოლოგია გაავრცელოს, ჩვენს ქვეყანას ძირი გამოუთხაროსო, და ქართველი მწვრთნელის ნაცვლად ოკეანისგაღმა რუსი სპეციალისტი მიაველინეს. ციმაკურიძეც გაბრაზდა, განთავისუფლების განცხადება დაწერა, ერთი გემოზე შეუკურთხა და წამოვიდა. ამერიკაში საბჭოთა გუნდმა 26:6 დაამარცხა მასპინძლები და ამ საერთო გამარჯვებაში დიდი წვლილი დავით ციმაკურიძესაც მიუძღვოდა.

– ბატონო დავით, დიდი განსხვავებაა მამათქვენის, თქვენი და ახლანდელი თაობის მოჭიდავეების კლასს შორის?

– ოციან წლებშიც და ჩემ დროსაც გაცილებით ტექნიკურად ჭიდაობდნენ, მაშინ მეტ ხერხს იყენებდნენ, განსაკუთრებით ჩოქბჯენში, დგომში.

ახლა კი უფრო ძალისმიერი ჭიდაობა დომინირებს, რაც, რა თქმა უნდა, საგრძნობლად აკნინებს სანახაობრივ მხარეს.

– ამ ბოლო ხანს ქართლსა და კახეთში თითქმის ყოველ კვირას იმართება ქართული ჭიდაობის ზეიმი. თქვენ ბევრ მათგანს ესწრებით. რა არის ეს, პროფესიული ლტოლვა, პასუხისმგებლობა საკუთარი თავის წინაშე თუ ახალგაზრდობის წლების გახსენება?

– ეს ჩემი სამსახურია ქართული საჭიდაო სკოლის წინაშე, ყველა ჭიდაობის ფუძე ხომ ქართული ჭიდაობაა, რომელსაც სამი-ოთხი ათასწლეულის იქით აქვს ფესვები გადგმული. ჩვენ რომ თავი მოგვაქვს მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებითა და პრიზიორებით, ყველამ ქართული ჭიდაობით დაიწყო.

– ალბათ თქვენც ჭიდაობდით?

– ზესტაფონში, თაბუკაშვილის ქუჩაზე, 12 მეტრზე მიწა ამოვჭერით, მამას ნახერხი მოვატანინე, მე მიშიკო მანაბელი დავირქვი, სხვამ – ბაბალიკაშვილი, კიდევ სხვამ – ქვარიანი, კუხიანიძე და ასე ფსევდონიმებით ვჭიდაობდით. ოლიმპიურ თამაშებზე მე ქართულმა ჭიდაობამ მიხსნა. მეორე წრეში ამერიკელ დან ჰოჯთან 1:4-ს ვაგებდი, ჩავავლე ხელი, დამყვა – მომცა ხელი, ახლა ფეხი ჩავიხვიე, ფეხიც მომცა, ესე იგი, რაღაცას ელოდა, რაღაცაში უნდოდა ჩემი გამოჭერა, მეორე ხელით ან ფეხით რაიმეს გაკეთებას აპირებდა. ავწიე ფეხი და ხელი რომ დავქაჩე, შევხედე – მოდის, მაგრამ რა მოდის! შემოვატრიალე, ფეხი უფრო მაღლა ავწიე და ძირს დავუშვი, მოწინააღმდეგე ბეჭებზე გავაკარი. წამის მეთედები იყო საჭირო შედეგის დასაფიქსირებლად და ინგლისელმა მსაჯმა სუფთა გამარჯვება რომ მარგუნა, ამ დროს მეტოქემ სახეში მთხლიშა. მე რომ პასუხი გამეცა, შეჯიბრებიდან მომხსნიდნენ, მოგესხენებათ, როგორ ეპიტნაგებოდით საბჭოთა კავშირი და საბჭოთა სპორტსმენები. არადა, როგორმე ხომ უნდა დამესაჯა ის ამერიკელი. ავდექი და ხელი პირსა და ცხვირზე დავაზილე, მთელი ძალით დავუსრისე პირსახე, ისე, რომ ხმა ვერ ამოეღო. მერე რა მოხდა, იცით? ეს კაცი სამშობლოში დაბრუნდა, ამერიკის ჩემპიონატი მოიგო კრივში და „ოქროს ხელთათმანით“ დაჯილდოვდა – ამ გამარჯვებისთვის 100 ათასი დოლარი მიართვეს.

– ქართული ჭიდაობის რომელ ელემენტებს იყენებდით?

– ჩახვეული ფეხით ვაკეთებდი გდებებს, წამოკიდებული შუა ფეხებით, ეს კარგად მქონდა დამუშავებული და ამან მიშველა. უცხოელებმა ეს არ იცოდნენ, მერე იაპონელებმა ზედმიწევნით შეისწავლეს, რაც მათ ვიდეოფირები იღეს, ამდენი ჩვენ რომ გვემუშავა ჩვენ ეროვნულ ჭიდაობაზე, სულ პირველები ვიქნებოდით. ერთი საფირმო ილეით დგომში უნდა გქონდეს, ერთიც – ჩოქბჯენში. ბრუნს რომ ვაკეთებდი, სხვათა შორის, ამას ციმაკურიძის ილეით შეარქვეს, იქიდან კაცი ვერ წავიდოდა, ერთადერთხელ გამექცა ფინალში ირანელი გულამ-რეზა ტახტი, ორჯერ დავიჭირე ხელზე, მაგრამ ვერ წავაქციე,

იმიტომ რომ ელმაგალივით იყო, თითქოს შემადგენლობას ეწევო. არადა, მე ხომ წამზომს ვხედავდი, იმ დროს თორმეტწუთიანი ჭიდაობა იყო, ვუგებდი და ოლიმპიური ჩემპიონი ვხდებოდი. რატომ უნდა მივეყოლოდი, ტაქტიკაც ხომ საჭიროა.

ჩვენ გვექონდა ასეთი შემთხვევა, როცა ბოლო წუთებში ეგაძე მოჰყვა მეტოქის ილეთში. მსოფლიოს ჩემპიონი ხდებოდა და იაპონელმა მოჭიდავემ ორთაბრძოლის დამთავრებამდე სამი წამით ადრე მოგვერდი ჩაუტარა და ჩვენი ფალაგანი ბეჭებზე გააგორა. როგორი საქმეა!

– თქვენი დროის უძლიერეს მოჭიდავეებს ხომ არ გაიხსენებდით?

– სიამოვნებით. ლენინგრადელი პრეობრაჟენსკი, უკრაინელი კომოვი, როსტოველი ტკაჩენკო, კავთისხეველი როსტიაშვილი (იგი ოლიმპიადაზე რეზერვში იყო)... ქვემდომეში შოთა ლომიძე, ქვესაშუალოში ვახტანგ ბალაგაძე, რომელიც აშკარად ჯობდა თავის ვიზავის, მაგრამ 52 წლის ოლიმპიადაზე მაინც არ აჭიდავეს, სარეზერვო სკამზე დასვეს. ვახტანგი და გივი კარტოზიაც წაიყვანეს, მაგრამ ვერ ენდნენ და ოქროს ორი მედალიც დაკარგეს.

– თქვენს წონაში აშკარა ფავორიტი იყავით, ამის გამო ვინმე ხომ არ გყავდათ განაწყენებული?

– ერთმა მითხრა, გიმართლებსო. კი მაგრამ, შე ოჯახაშენებულო, შეიძლება ერთხელ, ორჯერ გაგიმართლოს, მაგრამ შეიძჯერ, რვაჯერ?.. ესე იგი, შურიანი კაცი იყო. ცოცხალი აღარ არის და გვარსაც არ დავასახელებ. მაგრამ ის გამონაკლისი იყო. ყველასთან კარგი ურთიერთობა მქონდა, წყენა რა იყო, არ ვიცოდით. მაგალითად, ხან მე ვუგებდი გივი კარტოზიას, ხან ის მიგებდა, რა უნდა გვექნა, გადაგვიდებოდით ერთმანეთს? მოჭიდავეებზე ტკბილი და საყვარელი კოლექტივი არ არსებობდა, სამაგალითონი ვიყავით.

– როგორ გგონიათ, რატომ?

– იმიტომ, რომ ერთმანეთი გვიყვარდა. ჭიდაობაში რაინდობის ელემენტები ჭარბობს. ეს არის და ეს...

– ქართული ჭიდაობა რომ ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გასცდეს, ხომ არ აჯობებდა, ამ ლამის ყოველკვირეულ ზეიმებში ყოფილი მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლებიც მოგვეწვია, თუ ყველას ერთად ვერ გავეუმასპინძლებოდით, ხან ერთი სახელმწიფო მოგვეპატიჟა, ხანაც – მეორე. ინფორმაცია იქაურ გაზეთებშიც გაჟონავდა და ნელ-ნელა ქვეყანას მოედებოდა ჩვენი ეროვნული ჭიდაობის ამბავი. იაპონელები ხომ სიხარულით გამოიქცეოდნენ.

– ამას დიდი ფული უნდა, გზის, სასტუმროს, კვების. თითოეულ გუნდში ხომ თხუთმეტი-თექვსმეტი კაცია. შარშან დაღესტანში გრანდიოზული ტურნირი მოეწყო, ოცდასამი ქვეყნის წარმომადგენლები შეიკრიბნენ. ჩვენი გუნდი ოცი კაცისგან შედგებოდა – თექვსმეტი მოჭიდავე იყო, ორი მწვრთნელი, ერთი მსაჯი, მე კი დელეგაციის ხელმძღვანელი ვიყავი.

– როგორც ვიცი, იქ დაგასაჩუქრეს...

– ჩვენი გუნდი შესუსტებული შემადგენლობით იყო ჩასული, ფავორიტები გერმანიაში იყვნენ...

– მაგას არ გეკითხებით, პირადად თქვენ გადმოგცეს რაღაც ჯილდო...

– რადგან ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოსთან ერთად რუსეთსაც (იგივე საბჭოთა კავშირს) მოუუტანე პირველი ოქროს მედალი, ქალაქ ხასავიურტის საპატიო მოქალაქედ ამირჩიეს, ოქროს მედლით დამაჯილდოვეს, შამილის 200 წლისთავთან დაკავშირებით კიდევ ერთი ოქროს მედალი გადმომცეს. მითხრეს, როცა უნდა ჩამოხვიდე, კვება, ტრანსპორტი, სასტუმრო უფასო გექნებაო. თუ მოისურვებ, მიწის ნაკვეთსაც გამოგიყოფთ და სახლსაც ჩაგიდგამთო.

მე ფოთში მივიღე მიწის ნაკვეთი და იმის საშუალება არა მაქვს, შემოვლო ან რაიმე ნაგებობა ჩავდგა. ბატონ აკაკი ჩხაიძეს მინდა ვთხოვო, ერთი ჩამოწერილი ვაგონი მიფეშქაშოს, ჩავდგამ, დამე სამი-ოთხი კაცი დავიძინებთ და დილას ზღვაზე გავალთ, სამი შვილი და ხუთი შვილიშვილი მყავს, დავეცევი. აკაკი ჩხაიძე სპორტის დიდი ქომაგია, შესანიშნავი საჩუქარი გაუკეთა მომავალ თაობებს და ვიცი, უარს არ მეტყვის. სტალინის ვაგონს არ ვითხოვ, ერთი, ჩამოწერილი ვაგონიც მეყოფა.

– ხელფასი თუ გაქვთ, ან პენსიას თუ იღებთ დროულად?

– ოლიმპიური კომიტეტი 120 ლარს გვაძლევს, პრეზიდენტის ფონდიდან კი 70 ლარი გვაქვს გამოყოფილი. სამდურავი არავისადმი მაქვს, ქვეყანა გადატაკებულია. ეს კია, 1952 წლის ოლიმპიური თამაშებიდან ორმოცდაათი წელიწადი გავიდა და ერთ ოლიმპიადაზეც კი არ წაუყვანივართ. გოგი შხვაცაბაიამ ოლიმპოს მთაზე სპორტული დიდების მემორიალი დადგა, ოცდაათკაციანი დელეგაციიდან ერთი ოლიმპიელიც კი არ იყო, ეს არის საქმე?!

1995 წელს სამარანჩი იყო ჩამოსული და რომ გაიგო, ოცდათორმეტი ოლიმპიური ჩემპიონი გყავდა, გაოცდა, ჩვენ კი ჩვენი ოლიმპიელები არ გვახსოვს.

– რამდენი მოჭიდავის სახელობის ტურნირი არსებობს. თქვენს სახელობისა კი მხოლოდ ამ შემოდგომაზე გაიმართა...

– გოჩა ძასოხოვი მშველელად მოველინა ჩვენ ჭიდაობას. ყველა ბოლოდროინდელი გამარჯვებულებისთვის ამ კაცს უნდა ვუთხრათ დიდი მადლობა. ჰოდა, გოჩა შემპირდა, 52-ე ოლიმპიური თამაშებიდან ორმოცდაათი წელიწადი გადის და შენი სახელობის გრანდიოზულ ტურნირს დაგაწესებო. თქმა და შესრულება ერთი იყო... მადლობის მეტი რა მეტქმის...

– ბატონო დავით, მეტსახელიც გაქვთ. სიყვარულის ღმერთის სახელი ვინ შეგარქვათ?

– დედაჩემმა. პატარა რომ ვიყავი, ვკითხე, როგორ გავჩნდი-მეთქი. მან მითხრა, წვიმა მოვიდა და პატარა ამურები დაფრინავდნენ, ერთ-ერთი ძალიან ლამაზი იყო და დავიჭირე, შენ ხარ ის ამურიო.

– ისიც მითხარით, ცოლი როგორ შეირთეთ?

– ეჰ, შარშან 1 სექტემბერს ოქროს ქორწილი უნდა გადაგვეხადა... აღარ დასცალდა...

ისე, მართლა საინტერესო ისტორიაა. ჩვენ წარმოშობით ობჩელები ვართ. 27 წლისა ვიყავი და საცოლეს ვეძებდი. ქვემო საქარაში იშხნელები არიან, კარგი გოგონებიო და დავირაზმეთ მამაჩემი, მისი თანამშრომელი – ზესტაფონის შამპანურის ქარხნის მთავარი ბუღალტერი და მე. გზაში ორი სიმპათიური ქალიშვილი შეგვხვდა, ერთ-ერთს წიგნი ეჭირა. ვინ არის-მეთქი, ვიკითხე. მამამ თვალები დამიბრიალა, ჩუმად იყავი, ამ კაცის დისწვილიაო. ერთი სიტყვით, იმ ღამეს ჩემი მოწონებული ქალიშვილის ოჯახში ვიყავით. მამას ვუთხარი, ან ამას შევირთავ, ან არავის-მეთქი. თან ბეჭედი მქონდა წამოდებული, ბერლინში მივდიოდი ფესტივალზე და ის ბეჭედი დავუტოვე. აიღო ამ ლაშხის ქალმა და ვენახში არ მოისროლა? ბავშვი იყო და ეტყობა, გათხოვებაზე არც ფიქრობდა. დაავლეს მისმა ბიძაშვილებმა ფარნებს ხელი და ისინიც ვენახში გადაეშენენ, ძლივძლივობით იპოვეს.

როგორც იქნა, მოარჯულეს. ყურები რატომღა აქვს დამტვრეულიო, იკითხა ჩემმა მომავალმა მეუღლე. დაამწვიდეს, ყველა მოჭიდავეს ასე აქვსო. გერმანიაში რაზეც ფული მეყო, ყველაფერი ვიყიდე, საჩუქრები ჩამოვუტანე საცოლესა და სასიდედროს და 1 სექტემბერს ვიქორწინეთ.

დავით ჭელიძე